



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მახათაძე იოსებ კონსტანტინეს ძე

მახათაძე იოსებ კონსტანტინეს ძე (15. XII. 1917, სოფ. მაღლაკი, ქუთაისის მაზრა, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 1. I. 2010, ექიმი. მედ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1981), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985).

1940 დაამთავრა თსსი. იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. 1948-51 იყო ტყიბულისა და ვანის რაისაავადმყოფოების მთ. ქირურგი, 1956-2006 – გ. მუხაძის სახ. ჰემატოლოგისა და სისხლის გადასხმის სამეცნ.-კვლ. ინ-ჭის უფრ. მეცნიერი მუშაკი, სამედ. რადიოლოგის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ტრანსფუზიოლოგიის განყ-ბის გამგე (1974-83). 1968-75 – თბილ. სისხლის გადასხმის სადგურის კრიობიოლოგიის პრობლემური ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

არის სამეცნ. ნაშრომებისა და გამოგონებების ავტორი, მ. შ. აღსანიშნავია: „ძვლის ტვინის საკონსერვაციო აპარატი“, რ-იც დაპატენტებულია აშშ-ში (1972). წლის საუკეთესო გამოგონებისთვის დაჯილდოვდა საქართვ. მეცნ. აკადემიის პრემიით (1984).

მიღებული აქვს სახელმწ. ჭილდოები.